

უდფრედ უდრიანი

ადამიანის ბუნების
შეცნობისათვის

გზა თვითშეშეცნებისკენ

ალფრედ ადლერი
აღაზიანის ჰუნეზის შეცნოზისათვის
გზა თვითშეგნევისკენ

Alfred Adler
UNDERSTANDING HUMAN NATURE
A KEY TO SELF-KNOWLEDGE

ორიგინალის სათაური Menschenkenntnis

ინგლისურიდან თარგმნა თამარ ბოგვერაძემ

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2021, 2023
ყველა უფლება დაცულია

ISBN 978-9941-11-826-5

www.diogene.ge

სარჩევი

მთარგმნელის წინასიტყვაობა.....	7
ბერან ვოლფის წინასიტყვაობა.....	9
ავტორის წინასიტყვაობა.....	12
შესავალი.....	13

წიგნი I. აღამიანის ქცევა

1. აღამიანის სული.....	27
I. სულიერი ცხოვრების არსი და საფუძველი.....	27
II. ფსიქიკური ორგანოს ფუნქციები.....	28
III. სულიერი ცხოვრების მიზანმიმართულება (ტელეოლოგია).....	30
2. ფსიქიკური ცხოვრების სოციალური ასპექტი.....	37
I. აბსოლუტური ქეშმარიტება.....	37
II. საზოგადოებრივი ცხოვრების საჭიროება.....	39
III. უსაფრთხოება და ადაპტაცია.....	41
IV. სოციალური გრძნობა.....	43
3. ბავშვი და სოციუმი.....	45
I. ჩვილის მდგომარეობა.....	46
II. დაბრკოლებათა ზეგავლენა.....	48
III. აღამიანი, როგორც სოციალური არსება.....	53
4. სამყარო, რომელშიც ვცხოვრობთ.....	55
I. ჩვენი კოსმოსის აგებულება.....	55
II. კოსმოსის აგებულების ელემენტები.....	58
III. ფანტაზია.....	68
IV. სიზმრები: ზოგადი მოსაზრებები.....	70
V. ემპათია და იდენტიფიკაცია.....	71
VI. ჰიპნოზი და შთაგონება.....	73
5. არასრულფასოვნების გრძნობა და სწრაფვა აღიარებისკენ.....	79
I. ადრეული ბავშვობის სიტუაცია.....	79
II. არასრულფასოვნების გრძნობის კომპენსაცია; მისწრაფვა აღიარებისა და უპირატესობისკენ.....	82
III. ცხოვრების გრაფიკი და კოსმოსის სურათი.....	90
6. ცხოვრებისთვის მზადება.....	100
I. თამაში.....	100
II. ყურადღება და უყურადღებობა.....	102
III. დანაშაულებრივი დაუდევრობა და გულმავიწყობა.....	105
IV. არაცნობიერი.....	106
V. სიზმრები.....	115
VI. ნიჭიერება.....	124

7. სქესი.....	127
I. ბისექსუალობა და შრომის განაწილება	127
II. მამაკაცთა დომინირება დღევანდელ ცივილიზაციაში.....	129
III. ქალების ვითომ არსებული არასრულფასოვნება	136
IV. ქალის როლისგან გაქცევა.....	140
V. დაძაბულობა სქესთა შორის.....	151
VI. რეფორმის მცდელობა	153
8. ოჯახური კონსტელაცია	155

წიგნი II. მეცნიერება ხასიათის შესახებ

1. ზოგადი მოსაზრებები.....	165
I. ხასიათის ბუნება და წარმოშობა	165
II. სოციალური გრძნობის მნიშვნელობა ხასიათის განვითარებისთვის	170
III. ხასიათის განვითარების მიმართულება.....	174
IV. ფსიქოლოგიის ძველი სკოლა.....	181
V. ტემპერამენტი და შინაგანი სეკრეცია	183
VI. შეჯამება	191
2. ხასიათის აგრესიული ნიშნები.....	193
I. პატივმოყვარეობა და ამბიციები	193
II. ეჭვიანობა	220
III. შური	222
IV. სიძუნწე	225
V. სიძულვილი	227
3. ხასიათის არააგრესიული ნიშნები	231
I. იზოლაცია	231
II. შფოთვა	233
III. სიმხდალე.....	237
IV. სუსტი ადაპტაციის გამომხატველი ველური ინსტინქტები	246
4. ხასიათის სხვა გამოვლენები	250
I. სიხალისე.....	250
II. ფიქრი და გამოხატვა.....	251
III. მოსწავლის უმნიშვნელობა.....	252
IV. პრინციპულები და პედანტები.....	253
V. მორჩილი	255
VI. მბრძანებელი	258
VII. გუნება-განწყობილების ადამიანები	259
VIII. უბედური და უიღბლო	260
IX. ღვთისმოშიში	262
5. აფექტები და ემოციები	264
I. გამმიჯნავი (დიზუნქციური) აფექტები	266
II. შემაკავშირებელი (კონიუნქციური) აფექტები.....	274
დანართი.....	278
ზოგადი შენიშვნები განათლების შესახებ.....	278
ბოლოთქმა.....	283

მთარბმნელის წინასიტყვაობა

აღფრედ ადლერი (1870 – 1937) თანამედროვე ფსიქოთერაპიის შემქმნელი „დიდი სამეულის“ მესამე და ნაკლებად ცნობილ ნევრად მიიჩნევა. მისი სახელი ისეთი პოპულარული არ არის, როგორც დანარჩენი ორის, ზიგმუნდ ფროიდისა და კარლ გუსტავ იუნგის, თუმცა თანამედროვე ფსიქოთერაპიული მიდგომების უმრავლესობა ადლერის იდეებს იყენებს. ფართო გავრცელების გამო მათი გარკვეული ნაწილი ჩვეულებრივ კი გახდა, რადგან ბევრ სხვა თეორიას დაედო საფუძვლად (J. A. Kottler and M. J. Montgomery, *Theories of Counseling and Therapy: An Experiential Approach*). აღფრედ ადლერს ხშირად ნეოფროიდიანელს უწოდებენ, რაც სწორი არ არის და არც თავად გაახარებდა, თუნდაც ფროიდთან თავისი დამოკიდებულების გამო (Rebecca LaFountain, *Alfred Adler's Place in the Field of Psychology*). ის 1911 წელს ჩამოშორდა ფსიქონალიზს და საკუთარი თეორია შექმნა, რომელსაც „ინდივიდუალური ფსიქოლოგია“ დაარქვა, რადგან პიროვნებას ერთ მთლიანობად განიხილავდა, ჩართულს სოციალურ კონტექსტში. Individualpsychologie კარგად ჟღერს გერმანულად, როგორც უნიკალური, ერთიანი და განუყოფელი პიროვნების ფსიქოლოგია, მაგრამ სხვა ენებზე ისე აღიქმება, თითქოს ის, პირიქით, სოციალური კონტექსტიდან გამოცალკეებულ ინდივიდს შეისწავლიდეს. გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად ადლერის თეორია ხშირად ადლერიანულ თეორიად მოიხსენიება (Power, R.L. & Griffith, J. (2007). *The lexicon of Adlerian Psychology*). ადლერმა ბევრ

მიმართულებაზე მოახდინა გავლენა, ბავშვთა აღზრდიდან ანთროპოლოგიასა და კორექციულ თერაპიამდე. ის ყოველთვის ხაზს უსვამდა პიროვნული არჩევანის ძალას; პოზიტიური, შთამაგონებელი ცხოვრებისეული ფოკუსის მნიშვნელობას; სოციალური უთანასწორობის აღმოფხვრის საჭიროებასა და სოციალური ურთიერთობების უდიდეს მნიშვნელობას (Adlerian Psychotherapy, by J. Carson and M. Englar-Carlson). ალფრედ ადლერს უნდოდა, ადამიანებს დახმარებოდა ურთიერთობების მოგვარებაში ოჯახთან, მეგობრებთან და სხვა ადამიანებთან. ის აფასებდა ურთიერთთანამშრომლობის როლსა და თითოეული პიროვნების კავშირს გარემომცველ სამყაროსთან (Adler, 1939; Ansbacher, 1922a, King & Shelley, 2008). ადლერმა უშუალო გავლენა მოახდინა ისეთ გამოჩენილ თეორეტიკოსებზე, როგორებიც არიან აბრაჰამ მასლოუ, კარლ როჯერსი, პოლო მეი, ალბერტ ელისი, ჯულიან პოტერი და სხვები (Zimbardo, P. G., Johnson, R., & Weber, A. L. (2006)). ბევრი აღიარებს ამ გავლენას, მათ შორის აბრაჰამ მასლოუ და ერის ფრომი, ბევრი უარყოფს. ადლერს თავად აქვს ნათქვამი: „შეიძლება, დადგეს დრო, როცა აღარავინ გაიხსენებს ჩემს სახელს; შეიძლება, ისიც დაივიწყონ, რომ ჩვენი სკოლა ოდესღაც არსებობდა, მაგრამ ეს არ არის მნიშვნელოვანი, რადგან ყველა, ვინც ჩვენს სფეროში მუშაობს, ისე დაიწყებს მოქმედებას, თითქოს ჩვენგან ესწავლოს!“ („ალფრედ ადლერი: როგორც გვახსოვს“ G.J. Manaster, G. Painter, D. Deutsch, B. J. Overholt, ed., Alfred Adler: As We Remember Him (Chicago: North American Society of Adlerian Psychology, 1977), 33).

„ადამიანის ბუნების გაგებისთვის“ პირველად ბერან ვოლფმა (W. Beran Wolfe) თარგმნა. ის თვითონ იყო ფსიქიატრი და საექიმო პრაქტიკის დროს ალფრედ ადლერის ასისტენტად მუშაობდა ვენაში. წინასიტყვაობაში, რომელიც მან ამერიკული გამოცემისთვის დაწერა, ჩანს ადლერის პატივისცემა და საკუთარი გამოცდილებით გამყარებული რწმენა, რომ მისი თეორია სწორია. აქ მოგვყავს ეს წინასიტყვაობა, როგორც ისტორიული და საგანმანათლებლო ღირებულებების ტექსტი.

პირან ვოლფის წინასიტყვაობა

აღფრედ ადლერი დიდი ხანია ამტკიცებს, რომ სამეცნიერო ცოდნა იმათ პირად საკუთრებად არ უნდა დარჩეს, ვინც სპეციალური მომზადების წყალობით ბუნებისგან ახალ ჭეშმარიტებას მოიპოვებს: ნებისმიერი ცოდნა კაცობრიობისთვის მოტანილი სარგებლით უნდა შეფასდეს. ინდივიდუალური ფსიქოლოგია, რომლის საწყისები ორგანოსა და კონსტიტუციის პათოლოგიის შესახებ თავებშია მოცემული, ერთ-ერთი ყველაზე რთულად გასაგებია მთელ მედიცინაში. ცოტას თუ ეყოფა კვალიფიკაცია, წაიკითხოხ და გაიგოს ადლერის პირველი, ეპოქალური „STUDIE ÜBER DIE MINDERWERTIGKEIT VON ORGANEN“. თუმცა იმ თხუთმეტი წლის განმავლობაში, რაც ნაშრომის გამოქვეყნებიდან გავიდა, აღფრედ ადლერსა და მის მოწინავეებს ეს ექსპერიმენტები არ შეუწყვეტიათ. ამიტომ გახდა ინდივიდუალური ფსიქოლოგია დღეს ცალკე მეცნიერება, ფსიქოთერაპიული მეთოდი, ხასიათის შემსწავლელი სისტემა, ამავე დროს მსოფლმხედველობაც (Weltanschauung) და მიდგომაც ადამიანის ქცევის გასაგებად. საწყისი მასალის სირთულის მიუხედავად, ადამიანის ქცევის ამოცნობის მეთოდი, ამ თხუთმეტი წლის განუწყვეტელი ცდებისა და ძიების ნაყოფი, რთულად გასაგები არ იქნება ნებისმიერი გონიერი ზრდასრული ადამიანისთვის.

ინდივიდუალურმა ფსიქოლოგიამ ბავშვობის სიტუაციებში ამოიცნო ნევროზებისა და სამართალდარღვევების სათავე და მას უფასო საკონსულტაციო ცენტრებში აკვირდებოდა, ვენის სკოლებ-

სა და დასახლებებში რომ დააარსა. ადღერის მონაფეების მსხვერ-
პლი, რაც უხელფასო და ხშირად ძალიან ცუდ პირობებში მუშაო-
ბით გაიღეს, უხვად ანაზღაურდა შესანიშნავი ფსიქოთერაპიული
შედეგებით. დაუდასტურდათ, რომ ყველა ზრდასრული ადამიანი,
შეიარაღებული ინდივიდუალური ფსიქოლოგიის მეთოდებით, შეძ-
ლებს, შინაარსი შემატოს საკუთარ ცხოვრებას, უკეთესად გაიგოს
გვერდით მყოფის ქცევა და თავად გახდეს უფრო სრულყოფილი
ადამიანი. უდიდესი მოთხოვნის საპასუხოდ ადღერი ვენის სახალ-
ხო ინსტიტუტის დიდ აუდიტორიაში ყოველ კვირას მართავდა ლექ-
ციებს ადამიანის ბუნების შეცნობისა და ცხოვრების ტექნიკაში.
ლექციებს ორივე სექსისა და ყველა ასაკის რამდენიმე ასეული
ადამიანი ესწრებოდა. დასკვნით ღია ფორუმზე დოქტორი ადღერი
თავისთვის ჩვეული გულთბილი და გამამხნეველი მანერით პასუ-
ხობდა უამრავ კითხვას, რომლებსაც აუდიტორიიდან წერილობით
ანვდიდნენ.

„ადამიანის ბუნების შეცნობისათვის“ სახალხო ინსტიტუტში
ჩატარებული ამ ლექციების ერთ წელს აჯამებს. მისი ნაკლი ის
არის, რომ ზეპირი წიგნია და არა დანერილი. დოქტორ ადღერის
ჟესტების, ენამახვილობის, დაფაზე იმპროვიზებული დიაგრამების
გამოკლების შემდეგ „ადამიანის ბუნების შეცნობისათვის“ ძალიან
ცოცხალი რეალობის ლიტერატურული აჩრდილი ხდება. წიგნის
ქსოვილი ისე კარგად მოიცავს ადამიანის ქცევის ყველა გამოვ-
ლენას და ჩვენს თანამოძმეთა იმდენ მხარეს ჰფენს ნათელს, რაც
ამჟამად სხვადასხვა ფსიქოთერაპიულ სკოლას შორის მიმდინარე
კინკლაობითაა აწეწილი, რომ ამ ნაშრომის თარგმნა მნიშვნელოვან-
ი ხდება ყველასთვის, ვინც ადამიანის ქცევას სწავლობს. მკურ-
ნალი ექიმები, ფსიქიატრები და ფსიქოლოგები მიხვდებიან, რომ
„ადამიანის ბუნების შეცნობისათვის“ არის არა ფსიქოპათოლოგიის
დამღლევი კურსი, არამედ მცდელობა, განათლებული ზრდასრუ-
ლი ადამიანისთვის გასაგები მეთოდით უმკურნალონ ნევროზების
მრავალნახნაგოვან პრობლემებს. მათთვის, ვინც ამ ფურცლებზე
გაკვრით ნახსენებ სპეციალურ პრობლემებს სწავლობს, ეს იქნება

არა დასრულებული ტექსტი, არამედ რჩევისა და სტიმულის მიმცემი სახელმძღვანელო. იგივე შეიძლება ითქვას ინდივიდუალური ფსიქოლოგიის აღმოჩენების დიდ მნიშვნელობაზე აღმზრდელებისა და სოციოლოგებისთვის. „ადამიანის ბუნების შეცნობისათვის“ ყველაზე მეტად ჩვეულებრივ ჭკვიან ადამიანს დააინტერესებს. სამწუხაროდ, სოკრატეს სიტყვებს „შეიცან თავი შენი!“ ამ ცოდნის მისაღებად საჭირო მითითებები არ მოჰყოლია. საუკუნეები გავიდა დიდი ათენელის სიკვდილიდან და ღრმა მოაზროვნემ, დიდმა ექიმმა და ადამიანის სულის ბრწყინვალე მცოდნემ საკუთარი გამოცდილების ნაყოფი შეაგროვა და ჩვენი თანამოძმეებისა და საკუთარი თავის უკეთ შესაცნობად სახელმძღვანელო გამოაქვეყნა.

რაც შეეხება ჩახლართული და მძიმე მონიანი მოსაზრებების გერმანულიდან ადეკვატურად გადათარგმნის მძიმე შრომას, ის რამდენიმე გარემოებამ შემიმსუბუქა. ხელნაწერის მომზადებისა და პირველი გამოცემის შესწორების სიმძიმე პროფესორმა ელიზაბეთ ვერა ლოებმა (Elizabeth Vera Loeb, Hanter College) იტვირთა. ხოლო დოქტორ ადლერთან ერთად ხანგრძლივი პერსონალური კვლევების ჩატარებამ, სწორედ ამ ლექციებზე დასწრებამ, ვენის კონსულტაციებში მუშაობამ ნიუ-იორკის კლინიკებში ინდივიდუალური ფსიქოლოგიის პრაქტიკასთან ერთად, შესაძლებლობა მისცა მთარგმნელს, არა მარტო სიტყვები, არამედ ინდივიდუალური ფსიქოლოგიის გრძნობებიცა და სულიც იმ დინამიკური ენით ეთარგმნა, რომელსაც ამერიკაში იყენებენ. ავტორთან დიდებული თანამშრომლობა კომპენსაციაზე მეტი იყო მთარგმნელის მონდომებისთვის.

ბერან ვოლფი, მედიცინის დოქტორი
ნიუ-იორკი
ნოემბერი, 1927

ავტორის წინასიტყვაობა

ეს წიგნი ფართო საზოგადოებისთვის ინდივიდუალური ფსიქოლოგიის საფუძვლების გაცნობის მცდელობაა. ამავე დროს გვიჩვენებს მისი პრინციპების პრაქტიკულად გამოყენებას არა მხოლოდ სამყაროსა და ახლობლებთან ყოველდღიური ურთიერთობისას, არამედ პირადი ცხოვრების მოსაწყობადაც. წიგნი ეფუძნება ერთი წლის განმავლობაში ყველა ასაკისა და პროფესიის ასეულობით მამაკაცისა და ქალისთვის ვენის სახალხო ინსტიტუტში ჩატარებულ ლექციებს. მისი მიზანია, აჩვენოს, როგორ აზიანებს ერთი ინდივიდის არასწორი ქცევა ჩვენი სოციალური და საზოგადოებრივი ცხოვრების ჰარმონიას; ასევე ასწავლოს ადამიანს საკუთარი შეცდომების ამოცნობა და ბოლოს დაანახოს, როგორ შეიძლება, ჰარმონიულად დაუბრუნდეს საზოგადოებრივ ცხოვრებას. შეცდომები, რომლებსაც მეცნიერებასა და ბიზნესში ვუშვებთ, ძვირი ჯდება და დასანანია, მაგრამ ცხოვრების წარმართვისას დაშვებული შეცდომები ხშირად სიცოცხლისთვისაა სახიფათო. კაცობრიობას, მიმავალს ადამიანის ბუნების უკეთ შეცნობისაკენ, ეძღვნება ეს წიგნი.

ალფრედ ადლერი

შესავალი

„ადამიანის ბედისწერა მის სულშია“.
ჰეროდოტე

ადამიანის ბუნების მეცნიერულ შესწავლას მეტისმეტად თავდაჯერებულად და ქედმაღლურად არ უნდა მივუდგეთ. საკითხში ჩაღრმავებამ, პირიქით, გარკვეული თავმდაბლობა უნდა შესძინოს მკვლევარს და შეახსენოს, რომ ადამიანის ბუნების შეცნობა ერთ-ერთია იმ უდიდეს ამოცანათაგან, რომელთა გადაჭრაც უხსოვარი დროიდან ჩვენი კულტურის მიზანი იყო. ეს მეცნიერება მხოლოდ სპეციალიტთა ვიწრო წრის საქმე არ არის. მისი ჭეშმარიტი მიზანი თითოეული ადამიანის მიერ ზოგადად ადამიანური ბუნების შეცნობა უნდა იყოს, მიუხედავად იმისა, რომ თეორეტიკოსთა ის ნაწილი, რომელსაც საკუთარი კვლევები მხოლოდ მეცნიერთა ვიწრო ჯგუფის საკუთრებად მიაჩნია, ამ მოსაზრებას მტკიცებულად აღიქვამს.

ადამიანის ბუნებაზე რომ ბევრი არაფერი ვიცით, იმ კარჩაკეტილი ცხოვრების ბრალია, რომელსაც დღეს ვენწევით. ძველად შეუძლებელი იქნებოდა, ადამიანებს ერთმანეთისგან ასე გამოიჯნულად ეცხოვრათ. ჩვენი ცხოვრების პირველი დღეებიდანვე ნაკლები კავშირი გვაქვს თანამემამულეებთან. ოჯახი ჩვენს იზოლაციას ახდენს. ჩვენი ცხოვრების წესი ეწინააღმდეგება მჭიდრო კონტაქტებს, რაც აუცილებელია, რომ ადამიანის ბუნების შეცნობის მეცნიერება და ხელოვნება განვითარდეს. მას შემდეგ, რაც ველარ ვპოულობთ საკმარის კავშირს ირგვლივ მყოფ ადამიანებთან, მათ მტრებად მოგვეკიდებით ხოლმე. მათთან მიმართებაში ჩვენი ქცევა ხშირად არასწორია და ჩვენი განსჯაც, ჩვეულებრივ, მცდარია იმ

უბრალო მიზეზის გამო, რომ ადამიანის ბუნება ადეკვატურად არ გვესმის. ხშირად მეორდება ცნობილი ტრუიზმი: ადამიანები ერთმანეთს ისე ჩაუფლიან, რომ ვერც კი ამჩნევენ, ერთმანეთთან ლაპარაკისას კი ჰაერში ლაპარაკობენ; ისინი უცხოებებით იქცევიან არა მხოლოდ საზოგადოებაში, არამედ ვინრო ოჯახურ წრეშიც. მშობლები ხშირად ჩივიან, შვილების გაგებას ვერ ვახერხებთო, ამავე დროს შვილები ამბობენ, მშობლებს ჩვენი არ ესმითო. მთელ ჩვენს დამოკიდებულებას სხვასთან ის განსაზღვრავს, რამდენად გვესმის მისი, ამიტომ ეს გაგება ნებისმიერი ურთიერთობის საფუძველია საზოგადოებაში. ადამიანები უფრო ადვილად შეძლებდნენ თანაცხოვრებას, ადამიანის ბუნების შესახებ მეტი რომ იცოდნენ. ასე თავიდან ავიცილებდით სოციალური ურთიერთობების რღვევას, რადგან ცნობილია, რომ უთანხმოება მხოლოდ მაშინ ხდება, როცა ერთმანეთის არ გვესმის და მოტყუებულად დარჩენის შიში დაუცველობის შეგრძნებას გვიჩენს.

ახლა უნდა ავხსნათ, რატომ ვცდილობთ, ადამიანის შეცნობის ამ უკიდევანო სფეროს ზუსტ სამეცნიერო შესწავლას სამედიცინო მეცნიერების კუთხით მივუდგეთ. განვიხილავთ, რა წინაპირობები გვაქვს მსგავსი მეცნიერების შექმნისთვის, განვსაზღვრავთ, რა პრობლემები უნდა გადაჭრას მან და რა შედეგები შეიძლება მივიღოთ.

პირველ რიგში, უნდა აღვნიშნოთ, რომ ფსიქიატრია არის მეცნიერება, რომელიც ადამიანის ბუნების განსაკუთრებით კარგად ცოდნას მოითხოვს. ფსიქიატრს რაც შეიძლება სწრაფად და ზუსტად უნდა შეეძლოს პაციენტის სულში ჩანვდომა. ექიმი, რომელიც მედიცინის ამ დარგში მუშაობს, დიაგნოზის დასმას, მკურნალობის დანიშვნასა და ჩატარებას ეფექტიანად მაშინ შეძლებს, როცა ზუსტად ეცოდინება, რა ხდება პაციენტის შინაგან სამყაროში. აქ ზედაპირულობა დაუშვებელია. შეცდომა სწრაფად ისჯება, დაავადების სწორად ამოცნობა კი განკურნებით გვირგვინდება ხოლმე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ძალიან ეფექტიანი ტესტია ადამიანის ბუნების შესახებ ჩვენი ცოდნის შესამოწმებლად. ყოველდღიურ ცხოვრებაში სხვა ადამიანის არასწორად შეფასებას აუცილებლად

არ მოსდევს დრამატული შედეგი, ან შედეგმა, შეიძლება, იმდენი ხნის შემდეგ იჩინოს თავი, რომ კავშირი ველარც დავინახოთ. თუმცა ხშირად გაოგნებულები ვუყურებთ იმ უბედურებებს, თავის დროზე რომელიმე ჩვენი ახლობლის არასწორად შეფასების გამო რომ გვატყდება თავს. ამგვარი სამწუხარო მოვლენები გვასწავლის, რომ თითოეული ჩვენგანი მოვალეა, საფუძვლიანად დაეუფლოს ადამიანის ბუნების შესახებ ცოდნას.

ჩვენი კვლევებით დასტურდება, რომ ფსიქიკური ანომალიები, კომპლექსები და აზროვნების სხვადასხვა სახის დამახინჯება, რომლებსაც ნერვული დაავადებების დროს ვხვდებით, სტრუქტურით ძირეულად არ განსხვავდება ნორმალური ინდივიდის გამოვლენებისგან. აქაც იგივე ელემენტები, იგივე წინაპირობები, იგივე მექანიზმები გვაქვს. ერთადერთი განსხვავება ისაა, რომ ნევროტულ პაციენტს ისინი უფრო გამოხატული აქვს და იოლად ამოიცნობა. ეს აღმოჩენა საშუალებას გვაძლევს, ანორმალური შემთხვევები გავეთილად გამოვიყენოთ და ყურადღებით ვიყოთ ნორმალურ ფსიქიკურ ცხოვრებაში მონათესავე მექანიზმებისა და მახასიათებლების დასანახად; რაც, როგორც სხვა ნებისმიერ პროფესიაში, აქაც მხოლოდ პრაქტიკით, თავგანწირვითა და მოთმინებით მიიღწევა.

ჩვენი პირველი დიდი აღმოჩენა ასეთი იყო: უმნიშვნელოვანესი ფაქტორები, რომლებიც ადამიანის სულიერი ცხოვრების სტრუქტურას განსაზღვრავს, მისი ბავშვობის ყველაზე ადრეულ დღეებში ყალიბდება. თავისთავად ეს რამე განსაკუთრებული აღმოჩენა არ ყოფილა, ასეთ დასკვნამდე საუკუნეების განმავლობაში არაერთი ბრწყინვალე მკვლევარი მივიდა. სიახლე ის გახლავთ, რომ შევძელით და ბავშვობის გამოცდილებები, შთაბეჭდილებები და მოსაზრებები (რამდენადაც მათი განსაზღვრა შევძელით) სულიერი ცხოვრების შემდგომ მოვლენებს დაუკავშირეთ და აშკარად გამოხატული და მუდმივად მოქმედი ქცევის პატერნი მივიღეთ. ადრეული ბავშვობის გამოცდილება და დამოკიდებულებები მონიჭული ინდივიდის გამოცდილებასა და დამოკიდებულებებს შევადარეთ და გავაკეთეთ მნიშვნელოვანი აღმოჩენა, რომ ფსიქიკური ცხოვრების ცალკეული გამოვლენები

დაკვირვების დამოუკიდებელ ობიექტებად არ უნდა განვიხილოთ, მეტიც, მათი ახსნა შეუძლებელი იქნება, თუ მათ მთელის ნაწილებად არ ჩავთვლით¹. ცალკეული გამოვლენები მხოლოდ მაშინ ხდება გასაგები, როცა მათ განუყოფელი მთლიანობის კერძო ასპექტებად განვიხილავთ, ეს კერძო გამოვლენები კი შეიძლება, მხოლოდ მაშინ შეფასდეს, როცა მათ ქმედებათა ერთიან ნაკადში, ქცევის საერთო პატერნში მოვაქცევთ, მხოლოდ მაშინ, როცა სრულად იქნება დადგენილი კონკრეტული პიროვნების ცხოვრების სტილი² და ამკარა გახდება, რომ მისი ბავშვური დამოკიდებულებებისა და სოციალური ურთიერთობების დაფარული არსი ზრდასრულობაში მისი დამოკიდებულებებისა და სოციალური ურთიერთობების იდენტურია. მოკლედ თუ ვიტყვით, გასაოცარი სიცხადით დადასტურდა, რომ ფსიქიკის მოქმედების მხრივ ცვლილება არ ხდება. გარეგნული ფორმა, კონკრეტიზაცია, ზოგიერთი ფსიქიკური ფენომენის ვერბალიზაცია, შეიძლება, შეიცვალოს, მაგრამ საფუძველი, მიზანი, დინამიკა, ყველაფერი, რაც ფსიქიკურ ცხოვრებას თავისი საბოლოო მიზნისკენ მიმართავს, უც-

¹ „მეს“ მთლიანობა ადღერის თეორიის, „ინდივიდუალური ფსიქოლოგიის“, ამოსავალი პრინციპია (განსხვავებით ფსიქონალიზისგან, სადაც ზიგმუნდ ფროიდი პიროვნებაში ყოფდა ასპექტებს: იდი, ეგო და სუპერეგო). ადღერის სკოლის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ Individualpsychologie არაზუსტად ითარგმნა ინგლისურად, როგორც Individual Psychology (Manaster & Corsini, 1982; Oberst & Stewart, 2003). სიტყვა „ინდივიდუალური“ ინევს ერთი, ცალკე აღებული და სხვებისგან იზოლირებული პიროვნების ასოციაციას, რაც ეწინააღმდეგება თეორიის შინაარსს. ზუსტი ინგლისური თარგმანი ლათინური ფუძის, Individuum-ის მიხედვით „განუყოფელს“ ნიშნავს და ადღერის თეორიაც გამოდის „Indivisible Psychology“, „განუყოფლის ფსიქოლოგია“ (Maniacci, 2012).

² ეს ტერმინი (ინგლ. style of life/lifestyle, გერმან. Lebensstil) ინდივიდუალური ფსიქოლოგიის ყველაზე მოცულობითი კონცეპტია. ის ადღერმა პირველად 1926 წელს გამოიყენა. წარმოადგენს პიროვნების ცხოვრებისადმი დამოკიდებულების ერთიან, ლოგიკურად თანამიმდევრულ პატერნს, ზოგადი მნიშვნელობით მოიცავს ყველაფერს, რაც პერსონის ბირთვს შეადგენს: მე-კონცეფციას, იდეალურ მეს, სამყაროს ხატს და პირად ეთიკურ კოდექსს (ჰაროლდ მოზაკი (Harold Mosak)). ყალიბდება ადრეული ბავშვობის სიტუაციებში, როგორც ინდივიდის უნიკალური, გაუცნობიერებელი და განმეორებადი მანერა, გადაჭრას სამი მთავარი ცხოვრებისეული ამოცანა (life tasks): ურთიერთობა, საქმე და სიყვარული.

ვლელი რჩება³. მაგალითად, ზრდასრული პაციენტი მშფოთვარე ხასიათით, რომლის გონება მუდამ ეჭვითა და უნდობლობითაა სავსე, მთელი მისი ძალისხმევა კი სოციუმისგან იზოლაციისკენაა მიმართული, სამი თუ ოთხი წლის ასაკშიც ავლენდა ხასიათის ანალოგიურ ნიშნებს და ქცევას, თუმცა მაშინ ბავშვური გულუბრყვილობის გამო ეს თვისებები იოლი შესამჩნევი და მარტივი ასახსნელი იყო. ჩვენ წესად გვაქვს, კვლევების უმეტესი ნაწილი პაციენტთა ბავშვობის შესწავლისკენ მივმართოთ, რაც საშუალებას გვაძლევს, წინასწარ შევისწავლოთ ზრდასრული პიროვნების ხასიათი, სანამ ამ თემაზე ლაპარაკს დავიწყებთ. რასაც ვხედავთ მასში, როგორც ზრდასრულში, ბავშვობაში მის მიერ განცდილის პირდაპირ პროექციად მივიჩნევთ.

როცა პაციენტის ბავშვობის ყველაზე შთამბეჭდავ მოგონებას ვისმენთ და ვიცით, როგორ გავაკეთოთ ამ მოგონების სწორი ინტერპრეტაცია, შეგვიძლია, პაციენტის ამჟამინდელი ხასიათის ზუსტი მოდელი ავაგოთ. აქ ვითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ბავშვობაში გათავისებული ქცევიდან გადახრა მხოლოდ დიდი ძალისხმევის შემდეგ ხდება. ძალიან ცოტას შესწევს უნარი, შეცვალოს ბავშვობის დროინდელი ქცევის პატერნი, თუნდაც ზრდასრულ ასაკში სრულიად განსხვავებულ ვითარებაში მოუწიოს ცხოვრება. ამავე დროს ცხოვრებისადმი დამოკიდებულების შეცვლა აუცილებლად არ ნიშნავს ქცევის პატერნის ცვლილებას. ფსიქიკური ცხოვრება პირველსახეს არ იცვლის; პიროვნების აქტივობა ბავშვობამიც და ზრდასრულობამიც ერთ ხაზს მიჰყვება, ასე რომ,

³ საბოლოო მიზანი (Final objective/Fictional goal) არის ინდივიდის არაცნობიერი, მუდმივად არსებული და სუბიექტურად აღქმადი მიზანი – მიაღწიოს წარმატებას. ყაღბდება ადრეულ წლებში, როგორც ბავშვური არასრულფასოვნების ფსიქოლოგიური კომპენსაცია. ის მიმართულებას აძლევს ადამიანს და დროთა განმავლობაში, მისი ზრდასრული ცხოვრების ამბიციების შესაბამისად, სულ უფრო მეტად კონკრეტდება. „მხოლოდ მაშინ, როცა... (კარგი, მდიდარი, ჭკვიანი, მნიშვნელოვანი, გავლენიანი და ა. შ.) ვარ, ვიქნები... (აღტაცების საგანი, აღიარებული, დაცული, საჭირო და ა. შ.)“ (ცხოვრებისეული მიზანი საშუალებას აძლევს ადამიანს, დაივიწყოს არსებული ნაკლოვანებები და სიძნელეები. პიროვნებისთვის მიზანზე ფიქრი ამჟამინდელი პრობლემების დავინწყების საშუალებაა, რადგან მისი გონება მომავალი წარმატებისკენაა მიმართული (Griffith, J., & Powers, R. L. (2007)).

შეიძლება, დავასკვნათ: მისი ცხოვრების მიზანიც უცვლელი იქნება. ბავშვობის დროინდელ გამოცდილებაზე ყურადღების გასამახვილებლად სხვა მიზეზიც არსებობს. როცა ზრდასრული ადამიანის ქცევის პატერნის შეცვლას ვაპირებთ, უნდა გვახსოვდეს, რომ პიროვნების მიერ დაგროვებულ ცხოვრებისეული გამოცდილებისა და შთაბეჭდილებების უზარმაზარ მარაგში ცვლილების შეტანას უმნიშვნელო შედეგი მოაქვს. აუცილებელად უნდა გამოვავლინოთ მისი ქცევის ფუნდამენტური პატერნი. როგორც კი ამას გავაკეთებთ, შევძლებთ, ჩავწვდეთ პაციენტის ხასიათის არსს და დაავადებას სწორი ახსნა მოვუძებნოთ.

ასე რომ, ბავშვის სულიერი ცხოვრების განხილვა ჩვენი მეციხიერების საყრდენი გახდა და ცხოვრების პირველი წლების შესწავლას ჩვენი კვლევების დიდი ნაწილი მიუძღვნენით. ამ სფეროში იმდენი ხელუხლებელი მასალაა, რომ ყველას ეძლევა შესაძლებლობა, ახალი და მნიშვნელოვანი რამ აღმოაჩინოს, რასაც განუზომლად ფართო გამოყენება ექნება ადამიანის ბუნების შესწავლის საქმეში.

პარალელურად, ვინაიდან ჩვენი კვლევები განყენებულად არ არსებობს და მათ კაცობრიობისთვის მოაქვთ სარგებლობა, განვითარდა ხასიათის უარყოფითი ნიშნების პრევენციის მეთოდებიც. ბუნებრივად გადავინაცვლეთ განათლების სფეროში, სადაც ფსიქოლოგებს უკვე მრავალი წელია ჩვენი წვლილი შეგვაქვს. პედაგოგიკა ნამდვილი საგანძურია ყველასთვის, ვისაც ექსპერიმენტების ჩაატარება და იმ ცოდნის გამოყენება უნდა, რომელიც ადამიანის ბუნების კვლევისას დააგროვა, რადგან პედაგოგიკა, ადამიანის ბუნების შეცნობის მეცნიერების მსგავსად, წიგნებით კი არა, ცხოვრებისეული გამოცდილებით ისწავლება.

საკუთარი თავი უნდა დავინახოთ სულიერი ცხოვრების ნებისმიერ გამოვლენაში, შევიგრძნოთ ადამიანები, მივყვეთ მათ სიხარულსა და დარდში, დაახლოებით ისე, როგორც კარგი მხატვრები ხატავენ პორტრეტებს არა მარტო გარეგნული მსგავსებით, არამედ იმ თვისებებით, რომლებიც მათ დასახატავ ობიექტებში ამოიცნეს. ადამიანის ბუნების შეცნობის მეცნიერება ხელოვნებად

უნდა ჩავთვალოთ, რომელსაც მრავალფეროვანი გამომსახველობითი ხერხები აქვს, ხელოვნებად, რომელიც მჭიდროდ უკავშირდება სხვა დარგებს და სარგებლობა მოაქვს მათთვის, განსაკუთრებით ლიტერატურისა და პოეზიისთვის, რომელთა უპირველესი მიზანი ადამიანებზე ცოდნის გაფართოება უნდა იყოს, რათა ყველას მიეცეს საკუთარი პიროვნების სრულყოფის საშუალება.

ერთ-ერთი სირთულე ისაა, რომ ადამიანები ზუსტად ამ საკითხის მიმართ არიან განსაკუთრებით მგრძობიარენი. ძალიან ცოტაა ისეთი, საკუთარ თავს ადამიანის ბუნების მცოდნედ რომ არ თვლიდეს, მიუხედავად იმისა, რომ სამეცნიერო მომზადება, შეიძლება, მხოლოდ მათ უმცირეს ნაწილს ჰქონდეს. ხოლო ისინი, ვინც შეურაცხყოფად არ მიიღებს საკუთარი ცოდნის პრაქტიკაში შემონეშების შეთავაზებას, საერთოდ თითზე არიან ჩამოსათვლელი. ვისაც ნამდვილად უნდა ადამიანის ბუნების შეცნობა, როგორც წესი, მხოლოდ საკუთარი ფსიქიკური კრიზისის გადატანის შემდეგ მიღებული გამოცდილების ხარჯზე ან სხვის კრიზისზე დაკვირვებითა და თანაგანცდით ხვდება, რას წარმოადგენს ადამიანი სინამდვილეში.

ამიტომაც საჭიროა, მოიძებნოს ცოდნის სწორად გამოყენების ზუსტი ტექტიკა და სტრატეგია, ასევე მეთოდი. რადგან არაფერია უფრო ზიზლის მომგვრელი და არაფერს მიიღებენ უფრო კრიტიკულად, ვიდრე სულის კვლევისას აღმოჩენილი ფაქტების სახეში მიხლას. გვინდა, ვურჩიოთ ყველას, ვისაც არ უნდა, საძულველი გახდეს, რომ სიფრთხილე გამოიჩინოს ასეთ შემთხვევაში. ცუდი რეპუტაციის შესაძენად მშვენიერი გზაა ადამიანის შესწავლის შედეგად მიღებული ცოდნის დაუდევარი გამოყენებაც, მაგალითად, თანამესუფრის ხასიათის აღწერის დაუცხრომელი სურვილი. ასევე სახიფათოა ჭკუის დასარიგებლად ამ მეცნიერების ძირითადი პოსტულატების პირდაპირი ციტირება მათთვის, ვისაც საკითხის არსი არ ესმის, თუმცა ამ შემთხვევაში საკითხში გარკვეული ადამიანიც შეურაცხყოფილად გრძნობს თავს. აქ ისევ ადრე ნათქვამს გავიმეორებთ: ადამიანის ბუნების შეცნობის მეცნიერება თავმდაბლობისკენ გვიბიძგებს. უფლებზე არ გვაქვს, დაუფიქრებლად და აუცილებლობის გარეშე გამოვამ-

ზეუროთ ჩვენი ექსპერიმენტების შედეგები. ასეთი ქცევა მხოლოდ პატარა ბავშვს თუ ეპატიება, რომელსაც თავის გამოჩენა და საკუთარი წარმატებებით ტრაბახი სურს. მოზრდილი ადამიანისთვის იგივე საქციელი მისაღებად ვერ ჩაითვლება.

ადამიანის ფსიქიკის მკვლევრებს, გვინდა, ვურჩიოთ, პირველ რიგში, საკუთარ თავს დააკვირდნენ. არ არის საჭირო, კაცობრიობის სასიკეთოდ ჩატარებული ექსპერიმენტების შედეგები არადაინტერესებულ მსხვერპლს მოხვიონ თავზე. ეს მხოლოდ დამატებით სირთულეებს შეუქმნის მეცნიერებას, რომელიც პირველ ნაბიჯებს დგამს და სასურველის საწინააღმდეგო შედეგს მოგვცემს. მოგვიწევს, პასუხისმგებლობა ვიტვირთოთ იმ შეცდომებისთვის, რომლებსაც ახალგაზრდა მეცნიერების დაუფიქრებელი ენთუზიაზმი გამოიწვევს. სიბრძნეს უნდა მოუხმოთ და გვახსოვდეს: სანამ თვალწინ მთელი სურათი არ წარმოგვიდგება, მის ნაწილებზე დასკვნების გაკეთებისაგან თავი უნდა შევიკავოთ. მეტიც, ასეთი დასკვნები მხოლოდ მაშინ გავხადოთ საჯარო, როცა მათ დადებით ეფექტში დავრწმუნდებით. აქვე ვიტყვი, რომ პიროვნების ხასიათის შესახებ სწორი აზრიც, შეიძლება, ზიანის მომტანი აღმოჩნდეს, თუ არასწორი ფორმით გამოთქვამთ ან შესაფერის დროს ვერ შევარჩევთ.

მსჯელობის გაგრძელებამდე ერთ წინააღმდეგობას დავუბრუნდებით, რომელიც მკითხველმა, სავარაუდოდ, უკვე შეამჩნია. ზემოთ გამოთქმული მოსაზრება, რომ ინდივიდის ქცევის პატერნი მთელი მისი ცხოვრების განმავლობაში უცვლელი რჩება, შეიძლება, ბევრისთვის გაუგებარი იყოს, რადგან დიდი გამოცდილება, რომელიც ინდივიდს უგროვდება, ცხოვრების მიმართ მისი დამოკიდებულებების ცვლილებას იწვევს. მაგრამ გამოცდილება ერთმნიშვნელოვანი არ არის. უნდა გვახსოვდეს, რომ ნებისმიერი ფაქტი ამ გამოცდილებიდან, შეიძლება, განსხვავებულად აიხსნას და შეუძლებელია, მოიძებნოს ორი ისეთი ადამიანი, რომლებიც ერთი და იმავე მოვლენისგან ერთნაირ დასკვნას გააკეთებენ. სწორედ ამიტომ ყოველთვის ვერ ვსწავლობთ საკუთარი გამოცდილებით. ასაკის მატება აუცილებლად ჭკუის მატებას არ ნიშნავს.